საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/10/2025

MES 3 25 0001365547

გადაწყვეტილება

„სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118784 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 ოქტომბრის №1378289 გადაწყვეტილებისა (გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 30 სექტემბრიდან) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118784 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 211328703) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 11 700-ით, მათ შორის: დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 3 300-ით, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 550-ით, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე 2 650-ით, დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვან პროგრამაზე 150-თ“.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 ოქტომბრის №1348144 სხდომის ოქმის 1-ლი ნაწილი ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მეორე შესახვევი, №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად